1. **საკვლევი თემის (პროექტის) დასახელება***

საგადასახადო სტიმულების გავლენა ინოვაციებსა და სტარტაპებზე საქართველოს მაგალითზე

** შენიშვნა: საკვლევი თემა (პროექტი) შეიძლება წარმოდგენილი იყოს ავტორის ან ავტორთა ჯგუფის მიერ მონოგრაფიის, სამეცნიერო სტატიების, სახელმძღვანელოს შექმნის ან დარგში ახალი გამოკვლევის (გამოგონების) მიზნით.*

2. **საკვლევი თემის (პროექტის) აქტუალობა და მისი პოზიციონირება განაცხადის შევსების დროისათვის შესაბამის დარგში***

საქართველო ერთ-ერთი მომხიბვლელი ქვეყანა გახლავთ ინვესტიციებისთვის და სტარტაპების განვითარებისთვის, განსაკუთრებით მისი საგადასახადო პოლიტიკის და ბიზნესგარემოს გათვალისწინებით. ტექნოლოგიური ინოვაციები და სტარტაპები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ თანამედროვე ეკონომიკებში. საგადასახადო სტიმულები, რომლებიც ამ სექტორების ხელშეწყობას ემსახურება, შეიძლება იყოს გადამწყვეტი მათი სწრაფი ზრდისა და განვითარებისთვის. ამ პირობებში, საგადასახადო შეღავათები (რეგულაციების გამარტივება, საგადასახადო პრივილეგიები) ხელს უწყობს სტარტაპებს.